



## ამომრჩეველთა ერთიანი სია

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (შემდეგში „სამართლიანი არჩევნები“) განახორციელა მონიტორინგი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩეველთა ერთიანი სიის დახვეწის პროცესზე. მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ სიების გაუმჯობესების პროცესში ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოსწორდა, თუმცა რამოდენიმე საკითხი კვლავ პრობლემატური რჩება.

### საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საცმინანობები

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოვლენილი პრობლემების შემდეგ, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო ამომრჩეველთა სიების გაუმჯობესებაზე მუშაობა. 2008 წლის 1 თებერვალს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა მონაცემები მიიღო იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსაგან. ამასთან, ცესკო-მ დაამუშავა საპრეზიდენტო არჩევნების დროს შექმნილი დამატებითი სიების მონაცემები<sup>1</sup>.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით გადამოწმდა და ამომრჩეველთა სიას დაემატა: მოქალაქეები, რომლებიც იყვნენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, მაგრამ არ იყვნენ ცესკო-ს სიაში; ამომრჩევლები, რომლებმაც აიღეს ახალი პირადობის მოწმობები 2007 წლის დეკემბერში ან 2008 წლის იანვარში (საპრეზიდენტო არჩევნებამდე); მოქალაქეები, რომლებიც იყვნენ ერთიან ამომრჩეველთა სიაში, მაგრამ მაინც შეყვანილ იქნენ დამატებით სიაში; 18 წლის მოქალაქეები, რომლებიც არ იყვნენ ამომრჩეველთა სიაში.

სიების გადასინჯვის შედეგად დაემატა 66 740 ახალი მონაცემი (21 647 დამატებითი სიებიდან და 45 066 სამოქალაქო რეესტრის მონაცემებიდან) და სიიდან 17 900 გარდაცვლილი მოქალაქის მონაცემია ამოღებული. გაკეთდა 235 620 გვარის, სახელის, დაბადების თარიღის და მისამართის შესწორება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით.

<sup>2</sup> [www.cec.gov.ge](http://www.cec.gov.ge)



## „სამართლიანი არჩევნების“ მონიტორინგის შედეგები

სიების გადამოწმების პროცესში ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად თანამშრომლობდა „სამართლიანი არჩევნებთან“. ცესკო-სა და ორგანიზაციას შორის დაიდო თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც გუსლისხმობს იმას, რომ „სამართლიანი არჩევნები“ ექსკლუზიურად მიიღებს ერთიანი სიის სრულ ვარიანტს.

სწორედ ცესკო-ს მიერ მოწოდებული ელექტრონული ბაზის საფუძველზე მოხდა სიის პირველადი გადამოწმება 2008 წლის, 12 აპრილს, როდესაც ორგანიზაციის ცენტრალურმა ოფისმა გადაამოწმა ცესკო-ს 14 მარტის მონაცემთა ბაზის ვერსია. მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ამომრჩეველთა სიის ბაზაში იყო სულ **3 406 450** ამომრჩევლის მონაცემები. მონაცემთა დიდი ნაწილი არ იყო სრულყოფილი, კერძოდ ორგანიზაციამ აღმოაჩინა შემდეგი უბუსტოებები:

- ჩანაწერთა რაოდენობა, სადაც ამომრჩევლის სახელი იყო ცარიელი - **5**;
- ამომრჩევლის სახელი ნაკლები იყო **2** სიმბოლოზე - **5**;
- ამომრჩევლის სახელი ნაკლები იყო **3** (არ არის „ია“) სიმბოლოზე - **9**;
- ამომრჩევლის გვარი ნაკლები იყო **3** სიმბოლოზე - **11**;
- ამომრჩევლის გვარი ნაკლები იყო **4** სიმბოლოზე - **275**;
- ამომრჩევლის გვარი ნაკლები იყო **5** სიმბოლოზე - **2789**.

ამასთან, სიის ბაზაში იყო **121** შემთხვევა, როდესაც მონაცემებში საერთოდ არ იყო დათუქსირებული ამომრჩევლის მისამართი. **3** სიმბოლოზე ნაკლები იყო **124** ამომრჩევლის მისამართში, **4** სიმბოლოზე ნაკლები - **595** ამომრჩევლის და **5** სიმბოლოზე ნაკლები - **1564** ამომრჩევლის მისამართში<sup>3</sup>.

**435** ამომრჩევლის მონაცემებში საერთოდ არ იყო დათუქსირებული დაბადების თარიღი. **2** შემთხვევაში სიაში შეტანილი იყო ამომრჩევლების მონაცემები, რომლებსაც **18** წელი, **21** მაისის არჩევნების შემდეგ შეუსრულდება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამომრჩეველთა სიაში იყვნენ ადამიანები, რომელთა პირადობის ნომრები იყო შემდეგი ციფრები: **00 000 000 000, 00 000 000 001, 00 000 000 013, 00 000 000 046**.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ მიღებული 14 მარტის ერთიანი ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ვერსიის გადამოწმებისას, ნათლად დადასტურდა ამომრჩეველთა სიაში დუპლიკატების არსებობა. პირადი ნომრის მიხედვით სიაში

<sup>3</sup> მაგ.: „ს/ს“, „კმკ“.



## სამართლიანი არჩევნები

იყო 13 შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პირადი ნომერი თიქსირდებოდა 4-ჯერ; 957 შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პირადი ნომერი დათიქსირდა 3-ჯერ; 52 486 შემთხვევა - 2 -ჯერ დადიქსირდა ერთი და იგივე პირადი ნომერი. სულ ამომრჩეველთა სიაში გამოვლინდა 53 456 დუპლიკატი.

14 აპრილს „სამართლიანმა არჩევნებმა“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ უზუსტობებთან დაკავშირებით. 15 აპრილს ცესკო-მ სიის შესწორებული ვერსია გადასცა ყველა დაინტერესებულ მხარეს. 2008 წლის 17 აპრილს, ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ გადაამოწმა ბაზის, ამჯერად უკვე განახლებული ვერსია.

განახლებულ ბაზაში შეყვანილია სულ 3 431 908 ამომრჩევლის მონაცემები, რაც იმას ნიშნავს რომ სიას დაემატა 25 458 ამომრჩეველი. ანალიზის შედეგად ცნობილი გახდა, რომ რიგი მონაცემები ამომრჩეველთა სიაში კვლავ არაზუსტია. კერძოდ: შემცირდა, (435-დან 141-მდე) თუმცა მაინც არიან ისეთი ამომრჩევლები, რომელთა მონაცემებშიც არ არის მითითებული დაბადების თარიღი; გაიზარდა იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთა ასაკი აღემატება 110 წელს (14-დან 21-მდე); რაც შეეხება არჩევნებისთვის არასრული ასაკის მოქალაქეებს, ამომრჩეველთა სიაში არასრული ასაკის ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა და ამჯერად დათიქსირდა 1002 ასეთი შემთხვევა. სიაში დარჩა მხოლოდ ერთი ჩანაწერი, სადაც ამომრჩევლის პირადი ნომერი არ შეიძლება შეესაბამებოდეს რეალობას. ეს ნომერია: 00 000 000 000. რაც შეეხება დუპლიკატებს ამომრჩეველთა პირად ნომერში, ამჯერად ამომრჩეველთა სიის განახლებულ ვერსიაში ასეთი შემთხვევები არ დათიქსირებულა.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 41-ე დღისა<sup>4</sup>, 10 აპრილს საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში და მის ყოველ საარჩევნო უბანში<sup>5</sup>. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა გადაამოწმეს საარჩევნო ოლქებში გადაგზავნი ინფორმაციები და შეადარეს იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემებს. შედარებითი ანალიზის დროს გაირკვა, რომ უმეტეს ოლქში არსებული მონაცემები განსხვავდებოდა ცესკო-ს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემებისაგან<sup>6</sup>.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონაცემები ამომრჩეველთა რაოდენობასთან დაკავშირებით განსხვავდებოდა არა მარტო საარჩევნო ოლქსა და ცესკო-ს ვებ-

<sup>4</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 9<sup>1</sup>, პუნქტი 2;

<sup>5</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 9<sup>1</sup>, პუნქტი 2;

<sup>6</sup> დანართში იხილეთ ამომრჩეველთა რაოდენობები ოლქების მიხედვით;



## სამართლიანი არჩევნები

გვერდზე, არამედ თვით ერთსა და იმავე ოლქში არსებულ და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებულ რაოდენობებს შორისაც. მაგალითად, #79 ბათუმის საარჩევნო ოლქიდან ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაციით აღნიშნული ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაა 96 547<sup>7</sup>, იმავე დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდის მონაცემებით - 97 300, ხოლო ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს, კერძოდ გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებული მონაცემებით ამომრჩეველთა რაოდენობაა - 98 065<sup>8</sup>. ასეთივე თვალსაჩინო იყო განსხვავება # 84 ხულოს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაში, რომელიც იყო ცესკო-ს მონაცემებით - 23 972, ოლქში გამოკრული მონაცემებით - 23 945, ოლქიდან ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაციით - 23 927 და გაზეთ „ხულოს“ მონაცემებით - 23 928 ამომრჩეველი.

„სამართლიანი არჩევნები“ განაგრძობს ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პროცესების მონიტორინგს, რომლის შესახებ ინფორმაციას სისტემატურად მიაწვდის საზოგადოებას.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

ამ დოკუმენტი გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

<sup>7</sup> 2008 წლის 17 აპრილის მონაცემებით;

<sup>8</sup> 2008 წლის 12 აპრილის გამოცემა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



## დანართი

იხილეთ, ამომრჩეველთა რაოდენობის განსხვავებები ოლქების მიხედვით:

ოლქის ნომერი	საარჩევნო ოლქის დასახელება	ცესკო-ს მონაცემები	საოლქო კომისიის მონაცემები	მეტია/ნაკლებია + -	სხვაობა
1	მთაწმინდა	45428	43434	მეტია	1994
2	ვაკე	90051	90051	ტოლია	0
3	საბურთალო	115832	116642	ნაკლებია	810
4	კრწანისი	45879	47197	ნაკლებია	1318
5	ისანი	111779	109799	მეტია	1980
6	სამგორი	141748	143460	ნაკლებია	1712
7	ჩუღურეთი	54209	54606	ნაკლებია	397
8	დიდუბე	70324	69824	მეტია	500
9	ნაძალადევი	129560	130665	ნაკლებია	1105
10	გლდანი	146994	148951	ნაკლებია	1957
11	საგანეჯო	41777	41695	მეტია	82
12	გურჯაანი	55891	55094	მეტია	797
13	სიღნაღი	32408	32033	მეტია	375
14	დედოფლისწყარო	23137	22746	მეტია	391
15	ლაგოდეხი	38744	38173	მეტია	571
16	ყვარელი	29376	29164	მეტია	212
17	თელავი	56649	56688	ნაკლებია	39
18	ახმეტა	29390	29239	მეტია	151
19	თიანეთი	11564	11288	მეტია	276
20	რუსთავი	102171	102245	ნაკლებია	74
21	გარდაბანი	67913	67913	ტოლია	0
22	მარნეული	91987	87000	მეტია	4987
23	ზოლნისი	54935	54700	მეტია	235
24	ღმანისი	22189	22011	მეტია	178
25	ჩალკა	22891	22674	მეტია	217
26	თეთრიწყარო	20088	19873	მეტია	215
27	მცხეთა	35642	35746	ნაკლებია	104
28	დუშეთი	25974	25785	მეტია	189
29	ყაზბეგი	6144	6097	მეტია	47

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



## სამართლიანი არჩევნები

30	კასპი	38798	38549	მეტია	249
31	ახალგორი	6465	6052	მეტია	413
32	გორი	100842	98570	მეტია	2272
33	ქარელი	36647	35877	მეტია	770
35	ხაშური	48685	49000	ნაკლებია	315
36	ბორჯომი	26316	27543	ნაკლებია	1227
37	ახალციხე	35455	35455	ტოლია	0
38	ადიგენი	15865	15589	მეტია	276
39	ასპინძა	9898	9850	მეტია	48
40	ახალქალაქი	41114	39500	მეტია	1614
41	ნინოწმინდა	22142	20215	მეტია	1927
43	ონი	7395	7205	მეტია	190
44	ამბროლაური	12950	12718	მეტია	232
45	ცაგერი	13138	13053	მეტია	85
46	ლენტეხი	6115	6017	მეტია	98
47	მესტია	9260	9749	ნაკლებია	489
48	ხარაგაული	20797	20651	მეტია	146
49	თერჯოლა	34443	34238	მეტია	205
50	საჩხერე	41686	41489	მეტია	197
51	ზესტაფონი	57042	56607	მეტია	435
52	ბაღდათი	23875	23787	მეტია	88
53	ვანი	27214	27034	მეტია	180
54	სამტრედია	47955	48228	ნაკლებია	273
55	ხონი	24367	24775	ნაკლებია	408
56	ჭიათურა	47032	46721	მეტია	311
57	ტყიბული	25523	25390	მეტია	133
58	წყალტუბო	49740	53902	ნაკლებია	4162
59	ქუთაისი	149713	159070	ნაკლებია	9357
60	ობურგეთი	64673	64271	მეტია	402
61	ლანჩხუთი	29938	29611	მეტია	327
62	ჩოხატაური	18952	18810	მეტია	142
63	აბაშა	22813	21642	მეტია	1171
64	სენაკი	40169	41837	ნაკლებია	1668
65	მარტვილი	36779	34977	მეტია	1802
66	ხობი	30365	29968	მეტია	397
67	ზუგდიდი	126106	127000	ნაკლებია	894

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## სამართლიანი არჩევნები

68	წალენჯიხა	30561	32123	ნაკლებია	1562
69	ჩხოროწყუ	24395	23775	მეტია	620
70	ფოთი	36024	38054	ნაკლებია	2030
79	ბათუმი	97300	98065	ნაკლებია	765
80	ქედა	15303	15281	მეტია	22
81	ქობულეთი	65039	65857	ნაკლებია	818
82	შუახევი	15417	15379	ტოლია	38
83	ხელვაჩაური	68525	69132	ნაკლებია	607
84	ხულო	23972	23928	ნაკლებია	44
85	ლიახვი	8584	9121	მეტია	537
		სულ <sup>9</sup>	სულ <sup>10</sup>		
		3456061	3460458		

<sup>9</sup> ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ცესკო-ს მიხედვით, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით;

<sup>10</sup> ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ოლქების მიხედვით, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)